საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/176

ქ. ბათუმი

15 ნოემბერი, 2019 წელი

2019 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N57 გადაწყვეტილების, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების, „2019 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 სექტემბრის N1192 ბრძანების, „2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიული ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით შექმნილი რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე" სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის N 224/19 ბრძანების, „2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პრგრამაზე გადანაწილების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 5 ნოემბრის N1391 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2019 წლის 15 ნოემბრის N 1559206 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა **აპლიკანტებმა 2019 წლის 18 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით,** ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, მე-3

კორპუსში (ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობა, მეოთხე სართულზე, ოთახი N402) **უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) განცხადება (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია, განცხადება უნდა წარმოადგინოს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ქმედუუნარო/ შეზღუდულქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის დაბადების მოწმობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი - ,,არქიტექტორ-ტექნიკოსის", ,,ბიბლიოთეკარის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ხოლო **საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი** - ,,მეფუტკრეს", ,,ვებ-ინტერფეისის დიზაინერის"; ,,ვებ-ინტერფეისის დეველოპერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარების შესახებ.

დ) ორი ფოტოსურათი 3X4-ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

2. 2019 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს **2019 წლის 22 ნოემბერს,** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე.

3. 2019 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის **სასწავლო პროცესი დაიწყოს 2019 წლის 25 ნოემბერს.**

4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს აპლიკანტთა რეგისტრაცია და ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებსა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**